განრიგი 3

ამორტიზაციის გრაფიკი

1. წინამდებარე ცხრილი განსაზღვრავს სესხის ძირითადი გადახდის თარიღებს და სესხის მთლიანი ძირითადი თანხის გადასახდელ პროცენტს ყოველ ძირითადი გადახდის თარიღისათვის („დარიცხული პროცენტი"). თუ სესხის ფარგლებში გამოყოფილი რესურსები სრულად გამოთხოვილია პირველი ძირითადი გადახდის თარიღის შესაბამისად, მსესხებლის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა ყოველი ძირითადი გადახდის თარიღისათვის უნდა განისაზღვროს ბანკის მიერ გამრავლებით: (ა) ათვისებული სესხის ბალანსზე პირველი ძირითადი გადახდის თარიღისათვის; (ბ) დარიცხული პროცენტზე თითოეული ძირითადი გადახდის თარიღისათვის, ასეთი გადასახდელი თანხა ექვემდებარება შესწორებას, საჭიროებისამებრ, ნებისმიერი იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მოხსენიებულია აღნიშნული განრიგის მე-4 პარაგრაფში, რომელსაც ემატება კურსის კონვერტაცია.

ძირითადი გადახდის თარიღი	წილი (გამოხატული პროცენტებში)
ყოველ 15 ივნისს და 15 დეკემბერს დასაწყისი 15 დეკემბერი, 2029, 2039 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით,	4.55%
15 ივნისი, 2040	4.45%

2. თუ სესხის ფარგლებში გამოყოფილი რესურსები სრულად არ იქნა გამოთხოვილი პირველი ძირითადი გადახდის თარიღისათვის, მსესხებლის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა ყოველი ძირითადი გადახდის თარიღისათვის უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

(ა) იმის გათვალისწინებით, რომ სესხის ფარგლებში გამოყოფილი რესურსები სრულად გამოთხოვილია ძირითადი გადახდის თარიღისათვის, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ათვისებული სესხის ნაშთი ასეთი თარიღისათვის აღნიშნული განრიგის 1 პარაგრაფის შესაბამისად.

(ბ) ნებისმიერი გამოთხოვილი თანხა ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღის შემდეგ უნდა დაიფაროს ყოველი ძირითადი გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ განსაზღვრული თანხის ასეთი გამოთხოვის თარიღის დადგომის შემდეგ თითოეული ასეთი გამოთხოვილი თანხის გამრავლებით წილადზე, რომლის მრიცხველი არის ძირითადი დარიცხული პროცენტი, რომელიც განსაზღვრულია ამ განრიგის 1 პარაგრაფის ცხრილში ხსენებული ძირითადი გადახდის თარიღისათვის („ძირითადი დარიცხული პროცენტი") და რომლის მრიცხველი არის ყველა დარჩენილი ძირითადი დარიცხული პროცენტების ჯამი ძირითადი გადახდის თარიღის დადგომისას ან ასეთი თარიღის შემდეგ. ასეთი გადასახდელი თანხები ექვემდებარება შესწორებას, საჭიროებისამებრ, ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რაც მოხსენიებულია აღნიშნული განრიგის მე-4 პარაგრაფში, რომელსაც კურსის კონვერტაცია ემატება.

3. (ა) სესხის თანხები გამოთხოვილი ორი კალენდარული თვის განმავლობაში ნებისმიერი ძირითადი გადახდის თარიღის დადგომამდე უნდა განიხილებოდეს, როგორც ათვისებული და გადაუხდელი ძირითადი თანხის მეორე გადახდის თარიღისათვის შემდეგი ათვისების

თარიღამდე, მხოლოდ ძირითადი გადასახდელი თანხის გამოთვლის მიზნით ძირითადი გადახდის თარიღისათვის, და უნდა იყოს გადასახდელი ყოველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღისათვის, რომელიც იწყება ძირითადი თანხის მეორე გადახდის თარიღისათვის ათვისების შემდეგ თარიღამდე.

(ბ) წინამდებარე პარაგრაფის (ა) ქვე-ქვეპარაგრაფის მოთხოვნების მიუხედავად, თუ ბანკი ნებისმიერ მომენტში შეიმუშავებს საგადასახადო განრიგის სისტემას, რომლის მიხედვითაც ანგარიშფაქტურების გაცემა ხდება სესხის გადახდის ძირითადი თარიღის დადგომის დღეს ან მის შემდეგ თანხის გამოტანისას ამ ქვე-პარაგრაფის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იქნება სავალდებულო ზემოხსენებული სისტემის შემოღების შემდეგ.

4. წინამდებარე განრიგის პირველ და მე-2 პარაგრაფებში განსაზღვრული მოთხოვნის მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება განაღდებული სესხის სრული ან ნაწილობრივი კონვერტაცია იმ ვალუტაში, რომელშიც სესხი დამტკიცდა, კონვერტირებული თანხის იმ ნაწილის ოდენობა, რომელიც გადასახდელია სესხის ძირის დაფარვის თარიღისთვის, თუ ეს თარიღი ემთხვევა კონვერტაციის პერიოდს, დადგინდება ბანკის მიერ ამ თანხის გამრავლებით დენომინირებულ ვალუტაში უშუალოდ კონვერტაციამდე ნებისმიერი მხარის მიერ: (i) ვალუტის კურსი, რომელიც ასახავს სესხის ძირითად თანხებს დამტკიცებულ ვალუტაში და რომელიც გასაცემია ბანკის მიერ კონვერტირებადი თანხის სავალუტო ჰეჯირების ტრანზაქციის მეშვეობით; ან (ii) იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ასე დაადგენს ბანკის განაკვეთების ვალუტის კურსის ნაწილში განმარტებული კონვერტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

5.იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ათვისებული სესხის ბალანსის დენომინაცია ერთზე მეტ სასესხო ვალუტაში, წინამდებარე განრიგის მოთხოვნები სავალდებულოა თითოეულ სასესხო ვალუტაში დენომინირებული თანხის შემთხვევაში ცალ-ცალკე იმ მიზნით, რომ მოხდეს თითოეული ამგვარი თანხის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამორტიზაცის განრიგის შემუშავება.